1982/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი — ივნისი

1982 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

117361

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1982 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები


35. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

36. რ. ი. ლაღიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

37. ტყის უბნებზე, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე მოსახლეობის მასობრივი დასვენების ადგილების ორგანიზაციის, გამოყენებისა და მოვლის წესების შესახებ

38. საადრეო კარტოფილის ახალი შესასყიდი და საცალო ფასების დამტკიცების შესახებ

39. „საგარეჯოსა და მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოების მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 12 აპრილის № 249 დადგენილების დამატების თაობაზე

40. დმანისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის შექმნის შესახებ

41. საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი სატყეო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ

42. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

43. მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო ნებაყოფლობითი დაზღვევის შესახებ

44. საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ


კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

45. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 25 მარტის № 230 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 დეკემბრის № 653 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 35 საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 6 მაისი, № 338.

**დამტკიცებულია**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 6 მაისის № 338 დადგენილებით

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 2 თებერვლის № 470 ბრძანებულების საფუძველზე, არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და ემორჩილება ერთდროულად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო ხელმძღვანელობს თავისი საქვეუწყებო საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, დამამზადებელი, სასათბურე, გადამამუშავებელი, სავაჭრო და სატრანსპორტო ორგანიზაციების საქმიანობას ახალი და გადამუშავებული ხილისა და ბოსტნეულის, ციტრუსების, სუფრის ყურძნის, კარტოფილის წარმოების, დამზადების, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის დარგში.

საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს ეკისრება პასუხისმგებლობა ხილბოსტნეულის მეურნეობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, რესპუბლიკაში ხილბოსტნეულის პროდუქციის, სუფრის ყურძნისა და კარტოფილის წარმოების, დამზადების, გადამუშავების, შენახვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რეალიზაციის დარგში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ყოველგვარ ხილბოსტნეულის პროდუქციაზე, სუფრის ყურძენსა და კარტოფილზე მოსახლეობის მოთხოვნილების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებისათვის.

საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო აერთიანებს ხილბოსტნეულის აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებს და წარმართავს მათ საქმიანობას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გამოყენების გაუმჯობესებისათვის, ხილბოსტნეულის პროდუქციის წარმოების, ტრანსპორტირების, დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის დროს მისი დანაკარგების შემცირებისათვის.

2. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— დააკმაყოფილოს რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებანი ახალ და გადამუშავებულ ხილბოსტნეულის პროდუქციაზე, ყურძენზე, ციტრუსებსა და კარტოფილზე;

— უზრუნველყოს საქვეუწყებო საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ბოსტნეულის (განსაკუთრებით ნაკლებგავრცელებული და მწვანე ბოსტნეული კულტურების), ხილის, კენკრეულის, ციტრუსების, სუფრის ყურძნის, საადრეო კარტოფილის, ბაღჩეული კულტურებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოება;

— ორგანიზაცია გაუწიოს და განახორციელოს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსების, ბაღჩეული კულტურების, კენკრეულის, ყურძნისა და კარტოფილის სახელმწიფო შესყიდვა საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა საფუძველზე და იმავე წესით მოსახლეობისაგან ყველგან ხილის (მათ შორის გარეული ხილის), ბოსტნეულის, კარტოფილის, ბაღჩეული კულტურების, ციტრუსებისა და მეცენარეობის სხვა პროდუქტების, აგრეთვე პირუტყვის, ფრინველის, რძის, კვერცხისა და მატყლის შესყიდვა;

— განახორციელოს ხილის, ბოსტნეულის, ციტრუსების, ბაღჩეული კულტურების, კენკრეულის (მათ შორის გარეული კენკრეულის), ყურძნისა და კარტოფილის სამრეწველო გადამუშავება საქვეუწყებო საკონსერვო და სხვა გადამამუშავებელ საწარმოებში.

— შეიმუშაოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო უზრუნველყოფის გეგმა-გაანგარიშება და შეათანხმოს რესპუბლიკის საბაზრო ფონდები საკავშირო ორგანოებში;

— დანერგოს და წარუდგინოს საკავშირო ორგანოებსა და საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სტატისტიკური ანგარიშები კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის შემოსვლის, შენახვისა და რეალიზაციის შესახებ, აგრეთვე აწარმოოს აღნიშნული პროდუქციის შესანახად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რემონტისა და მზადყოფნის მიმდინარეობის ამსახველი ანგარიშგება;

— უზრუნველყოს დამზადებული და გადამუშავებული ხილბოსტნეულის პროდუქციის, ყურძნისა და კარტოფილის შენახვა, ამ პროდუქტების კონტეინერებით გადაზიდვა და დაფასოება მაქსიმალური მოცულობით;

— განახორციელოს სპეციალიზებული სავაჭრო ქსელის მეშვეობით ხილბოსტნეულის პროდუქციის, ყურძნის, ციტრუსებისა და კარტოფილის საბითუმო და საცალო ვაჭრობა, უზრუნველყოს ამ პროდუქტების მიწოდება სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, საზოგადოებრივი კვების ობიექტებისა და სამკურნალო დაწესებულებებისათვის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის მეშვეობით;

— შემოზიდოს რესპუბლიკაში სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების ფონდების მიხედვით კარტოფილი, ხილი და ბოსტნეული დეცენტრალიზებული შესყიდვისა და საქონელგაცვლის ოპერაციების წესით;

— განახორციელოს რესპუბლიკაში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა მებოსტნეობის, მეხილეობისა და მევენახეობის სამრეწველო წარმოების დარგში, ახალი და გადამუშავებული ხილბოსტნეულის პროდუქციის, სუფრის ყურძნისა და კარტოფილის დამზადების, შენახვის, გადამუშავებისა და საბითუმო-საცალო ქსელის მეშვეობით რეალიზაციის ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის საკითხებში;

— უზრუნველყოს სამინისტროს სისტემაში შემავალი დარგების დაგეგმვის, პროპორციული და შეწონასწორებული განვითარების ერთიანობა, განამტკიცოს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ეკონომიკა, სრულყოს ეკონომიკური სტიმულები და მართვის სისტემები ხილბოსტნეულის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გადიდების საქმეში ზუსტი ურთიერთმოქმედების ორგანიზაციისათვის;

— შეასრულოს სახელმწიფო გეგმის დავალებანი და უზრუნველყოს სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვა;

— აამაღლოს ხილბოსტნეულის პროდუქციის წარმოების, დამზადების, შენახვისა და რეალიზაციის ეფექტინობა, გააუმჯობესოს ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენება;

— გაანაწილოს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის ჭარბი საკუთარი საბრუნავი სახსრები სავალდებულოდ შესასრულებელი ბრძანებების ბანკში წარდგენის გზით;

— რაციონალურად გამოიყენოს კაპიტალური დაბანდებანი და აამაღლოს მათი ეფექტიანობა, შეამციროს მშენებლობის ღირებულება და ვადები, დროულად აამოქმედოს საწარმოო სიმძლავრეები და ძირითადი ფონდები, ჰარმონიულად განავითაროს მთელი ხილბოსტნეულის აგროსამრეწველო კომპლექსი;

— გააღრმაოს სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სპეციალიზაცია ხილბოსტნეულის პროდუქციის, ყურძნის, ბაღჩეული კულტურების, ციტრუსების, კარტოფილის საწარმოებლად, რაც შეიძლება რაციონალურად გამოიყენოს სარწყავი მიწები, განავითაროს დაცული გრუნტის მებოსტნეობა და ინტენსიური მეხილეობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დანერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება, შექმნას მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის საჭირო პირობები, დააწინაუროს ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი;

— ფართოდ დანერგოს საქონლის გაყიდვის პროგრესული ფორმები და მყიდველთა მომსახურების დამატებითი სახეობანი (წინასწარი შეკვეთების მიღება, საქონლის მიტანა ბინაზე და ა. შ.);

— გააუმჯობესოს სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, შექმნას წარმოებაში შრომის უსაფრთხო პირობები;

— დაიცვას სოციალისტური სახელმწიფო საკუთრება სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში და უზრუნველყოს მზრუნველური დამოკიდებულება ამ საკუთრებისადმი.

3. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო ხელმძღვანელობს საბჭოთა მეურნეობებს, სასათბურე მეურნეობებს, დამამზადებელ, გადამამუშავებელ საწარმოებს, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და ხილბოსტნეულის მეურნეობის სხვა ორგანიზაციებს, როგორც წესი, უშუალოდ ან თავის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით.

4. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც წამყვანია ხილბოსტნეულის პროდუქციის, სუფრის ყურძნისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის საქმეში, მონაწილეობს სხვა სამინისტროთა და უწყებათა გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ ამ პროდუქციის წარმოების დაგეგმვაში, ამუშავებს აღნიშნული პროდუქციით მოსახლეობის უზრუნველყოფის სრულყოფასთან და გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

5. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებებითა და მითითებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით უზრუნველყოფს კანონმდებლობის სწორად გამოყენებას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო განაზოგადებს თავის დარგში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს მისი სრულყოფის წინადადებებს და წარუდგენს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) დადგენილი წესით ახორციელებს თავის ფუნქციებს საქვეუწყებო საწარმოებში დაგეგმვის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსებისა და კრედიტის, კადრების და საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობის დარგში, აგრეთვე შეიმუშავებს და წარუდგენს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის და სამინისტროს სისტემის მეურნეობების მიხედვით ბოსტნეულის, ბაღჩეული კულტურების, ციტრუსების, ხილისა და კენკროვანის, სუფრის ყურძნისა და კარტოფილის სახელმწიფო შესყიდვის გეგმების პროექტს, რესპუბლიკურ ფონდში აღნიშნული პროდუქციის მიწოდების გეგმების პროექტებს, მონაწილეობს სამინისტროს სისტემის მეურნეობებში მემცენარეობის, აგრეთვე მეცხოველეობის სხვა პროდუქციის შესყიდვის გეგმების შემუშავებაში;

ბ) უზრუნველყოფს საქვეუწყებო სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ბოსტნეულის (განსაკუთრებით ნაკლებგავრცელებული და მწვანე ბოსტნეული კულტურების), ხილის, კენკროვანის, სუფრის ყურძნის, საადრეო კარტოფილის, ბაღჩეული კულტურებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოებას, ნერგავს ხილბოსტნეული კულტურების, სუფრის ყურძნისა და კარტოფილის მოვლა-მოყვანის ინდუსტრიულ ტექნოლოგიას;

გ) მონაწილეობს დარაიონებული ჯიშების ბოსტნეულის, ბაღჩეული, ხილ-კენკროვანი, სუბტროპიკული, ყვავილ-დეკორატიული კულტურების, სუფრის ყურძნის მაღალხარისხოვანი სარგავი მასალისა და თესლის, ელიტური თესლისა და საკვები ძირხვენების მოყვანაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;

დ) უზრუნველყოფს საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა საფუძველზე ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსების, ბაღჩეული კულტურების, კენკროვანის, ყურძნისა და კარტოფილის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებას და იმავე წესით მოსახლეობისაგან ყველგან ბოსტნეულის, კარტოფილის, ბაღჩეული კულტურების, ციტრუსებისა და მემცენარეობის სხვა პროდუქტების, აგრეთვე პირუტყვის, ფრინველის, რძისა და მატყლის შესყიდვას, ახორციელებს თანდათანობით გადასვლას უშუალოდ მეურნეობებში ხილბოსტნეულის პროდუქციის მიღებაზე;

ე) ორგანიზაციას უწევს ხილბოსტნეულის პროდუქციის მიწოდებას საერთო-საკავშირო ფონდში, ადგილობრივი ვაჭრობისა და სამრეწველო გადამუშავებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული გამოყენების გეგმის შესაბამისად; ახორციელებს მიმწოდებელთა მიმაგრებას მომხმარებლებთან და ამ პროდუქტების რესურსების ოპერატიულ მანევრირებას ყველა მეურნეობაში, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა, უზრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველყოფს კონტროლს სასურსათო ფონდის შექმნისა და გამოყენების გეგმების შესრულებისადმი;

უზრუნველყოფს ხილის, ბოსტნეულის, ციტრუსების, ბაღჩეული კულტურების, კენკრეულის (მათ შორის გარეული კენკრეულის), ყურძნისა და კარტოფილის სამრეწველო გადამუშავებას საქვეუწყებო საკონსერვო და სხვა გადამმუშავებელ საწარმოებში;

ვ) უზრუნველყოფს დამზადებული და გადამუშავებული ხილბოსტნეულის პროდუქციის, ყურძნის, ციტრუსების, კარტოფილის შენახვას და ამ პროდუქტების კონტეინერებით გადაზიდვასა და დაფასოებას მაქსიმალური მოცულობით; მონაწილეობს სპეციალური კონტეინერებით ხილბოსტნეულის პროდუქციისა და კარტოფილის გადაზიდვის მოცულობის შემუშავებაში;

ზ) ახორციელებს სპეციალიზებული სავაჭრო ქსელის მეშვეობით ხილბოსტნეულის პროდუქციის, ყურძნისა და კარტოფილის საბითუმო და საცალო ვაჭრობას, უზრუნველყოფს ახალი და გადამუშავებული ამ პროდუქტების მიწოდებას გადამმუშავებელი საწარმოებისათვის, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებისათვის, სამინისტროებისა და უწყებების მუშათა მომარაგების სამმართველოებისათვის, საბავშვო, სამკურნალო დაწესებულებებისა და სხვა მომხმარებლებისათვის, აგრეთვე უზრუნველყოფს ხილბოსტნეულის პროდუქციის შესანახად დაბინავების გეგმების შესრულებას, ეწევა პროდუქციის სავაჭრო რეკლამას;

კონტროლს უწევს საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადებას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ხილბოსტნეულის პროდუქციის, ყურძნისა და კარტოფილის დამზადების, შეზიდვისა და შესანახად დაბინავების სეზონისათვის, აგრეთვე შესანახად დაბინავების გეგმების შესრულებას;

თ) ახორციელებს ბოსტნეულის, ბაღჩეული კულტურების, ხილის, კენკრეულის, ყურძნის, ციტრუსებისა და კარტოფილის გადამუშავებას საქვეუწყებო საკონსერვო და სხვა გადამმუშავებელ საწარმოებში;

ი) ამუშავებს და ამტკიცებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ბოსტნეული, ბაღჩეული, ყვავილოვანი კულტურების, კარტოფილისა და საკვები ძირხვენების, სუფრის ყურძნის ელიტური თესლის წარმოებისა და მეურნეობებისათვის მიყიდვის გეგმებს;

ახორციელებს ბოსტნეული, ბაღჩეული, ყვავილოვანი კულტურების, კარტოფილისა და საკვები ძირხვენების ელიტური თესლის და ამ კულტურების ელიტური სარგავი მასალის შესყიდვას, აგრეთვე დადგენილი წესით აღნიშნული კულტურების სარგავი მასალისა და თესლის საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებს;

კ) მონაწილეობს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან და რესპუბლიკის სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ახალი და გადამუშავებული ხილბოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტნეულის პროდუქციის, სუფრის ყურძნის, ციტრუსებისა და კარტოფილის წარმოების, შენახვისა და რეალიზაციის მატერიალური ბაზის განვითარების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

ამუშავებს და ახორციელებს ცალკეულ სახეობათა ტარის წარმოების ღონისძიებებს, უზრუნველყოფს თანამედროვე სახეობათა ტარისა და შესაფუთავი მასალების გამოყენებას;

ლ) კონტროლს უწევს პროდუქციის ხარისხსა და სანიტარიული რეჟიმის დაცვას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე საერთო-საკავშირო ფონდში მისაწოდებელი ბოსტნეულის, ბაღჩეული კულტურების, ხილის, ციტრუსების, კენკრეულის, სუფრის ყურძნისა და კარტოფილის ხარისხს და პროდუქციის ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნების ან სანიტარიული რეჟიმის დაუცველობის შემთხვევებში აჩერებს მის გამომუშავებას, მომხმარებელთათვის გაგზავნას და რეალიზაციას;

მ) მონაწილეობს ახალი და გადამუშავებული ხილბოსტნეულის პროდუქციის (განსაკუთრებით ნაკლებგავრცელებული და მწვანე ბოსტნეული კულტურების) და ციტრუსების, სასურსათო საადრეო და გადამუშავებული კარტოფილის, სუფრის ყურძნის სახელმწიფო სტანდარტების პროექტების შემუშავებასა და დასამტკიცებლად წარდგენაში;

საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მონაწილეობს ცალკეულ სახეობათა ხილბოსტნეულის პროდუქციისა და ციტრუსების, აგრეთვე ხილბოსტნეული კულტურების, ციტრუსების, სუფრის ყურძნისა და საკვები ძირხვენების თესლისა და სარგავი მასალის დარგობრივი სტანდარტების შემუშავებასა და დამტკიცებაში;

ამუშავებს და ამტკიცებს საქვეუწყებო საწარმოების მიერ დამზადებული იმ პროდუქციის ტექნიკურ პირობებს, რომლის სახელმწიფო სტანდარტები, რესპუბლიკური ტექნიკური პირობები და სარესპუბლიკათაშორისო ტექნიკური პირობები არაა დამტკიცებული, განსაზღვრავს, ათანხმებს და ამტკიცებს მწვანე ბოსტნეულისა და პატისონის ფასებს;

ნ) მონაწილეობს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საქსახსოფლტექნიკასთან ერთად მებოსტნეობისა და მეხილეობის ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკური დავალებებისა და აგროტექნიკური მოთხოვნების შემუშავებაში, მონაწილეობს ამ მანქანების გამოცდაში, რაც საქსახსოფლტექნიკის სახელმწიფო ზონალურ მანქანათსაცდელ სადგურებში ტარდება;

მონაწილეობს საკონსერვო, ბოსტნეულსახმობი მრეწველობისათვის მოწყობილობისა და ხელსაწყოების, აგრეთვე ხილბოსტნეულის პროდუქციის შესანახი და სავაჭრო მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და ინვენტარის ტექნიკური მოთხოვნებისა და ტექნიკური დავალებების გაცემაში; საჭირო შემთხვევებში ქმნის საქვეუწყებო გადამმუშავებელ საწარმოებში მანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების ტექნოლოგიური გამოცდის ჩატარებისათვის აუცილებელ პირობებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო) ადგენს ყოველგვარი საკონსერვო მინის ტარაზე, მინის ქილების ხუფებზე, რეზინის რგოლებზე, შუასადებებსა და წყალამიაკის პასტაზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების კრებსით გაანგარიშებას, ანაწილებს მათ საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიხედვით;

პ) ამუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით სამინისტროს სისტემის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ტვირთების გადაზიდვის გეგმებს, აგრეთვე ორგანიზაციას უწევს ამ ტვირთების გადაზიდვას სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით;

ჟ) მონაწილეობს სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებში, სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხილბოსტნეულის პროდუქციის, ციტრუსების, კარტოფილისა და სუფრის ყურძნის, ბოსტნეულის, ბაღჩეული, ყვავილოვანი კულტურებისა და საკვები ძირხვენების თესლის, ხილკენკროვნის, ყვავილ-დეკორატიული კულტურებისა და სუფრის ყურძნის სარგავი მასალის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის დროს ნედლეულის, მასალების, აგრეთვე პროდუქტების ბუნებრივი დანაკლისის ნორმების დაწესებაში;

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით მონაწილეობს ხანმოკლე და ხანგრძლივი შენახვის, აგრეთვე საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს ხილბოსტნეულის პროდუქციის, ციტრუსების, სუფრის ყურძნისა და კარტოფილის ბუნებრივი დანაკლისის ნორმების, სამინისტროს სისტემის გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ხილბოსტნეულისა და ციტრუსების კონსერვების, ხმელი ხილის (ჩირის), ბოსტნეულის, კარტოფილის და სასურსათო კარტოფილისაგან პროდუქტების საწარმოებლად ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმების დაწესებაში;

რ) მონაწილეობს მზა პროდუქციისა და სხვა მატერიალური ფასეულობების სადეგუსტაციოდ ხარჯვის ერთიანი ნორმების დაწესებაში;

ს) ამტკიცებს სამინისტროს სისტემის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა თემატურ გეგმებს;

ტ) დადგენილი წესით აჯილდოებს სამინისტროს მოწინავე მუშაკებს საპატიო სიგელებით და იყენებს სხვა სახის წახალისებას.

7. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და შემდგომ წარადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან მინისტრი (კოლეგიის თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრი პერსონალურად პასუხისმგებელია სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, განსაზღვრავს მინისტრის მოადგილეთა, სამინისტროს სამმართველოების უფროსთა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობისათვის.

10. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრი გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებების, ინსტუქციებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად სისტემის საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, და ამოწმებს მათ შესრულებას.

საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

11. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს კოლეგია რეგულარულად მოწვეულ თავის სხდომებზე განიხილავს ხილბოსტნეულის მეურნეობის განვითარების ძირითად საკითხებსა და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, განიხილავს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, ისმენს სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელთა მოხსენებებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

12. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროსთან არსებობს საუწყებო არბიტრაჟი სამინისტროს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის სამეურნეო დავის განსახილველად.

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროს არბიტრაჟს უფლება აქვს გამოსცეს ბრძანებები თავის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებით აღსრულების შესახებ.

13. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებზე წინადადებათა განხილვის, ხილბოსტნეულის მეურნეობის განვითარებაში მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრის, წარმოებაში სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლეს მიღწევათა გამოყენებისა და დანერგვისათვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროში იქმნება:

— სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო;

— სადეგუსტაციო კომისია, რომელიც მუშაობს სამინისტროს საწარმოების მიერ გამოშვებული ხილბოსტნეულის პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხებზე;

— სამხატვრო საბჭო ახალ სახეობათა ტარის, შესაფუთავი მასალების, ეტიკეტებისა და მზა პროდუქციის სხვა მხატვრული გაფორმების განსახილველად და სარეკომენდაციოდ.

სამეცნიერო-ტექნიკური და სამხატვრო საბჭოების, აგრეთვე სადეგუსტაციო კომისიის შემადგენლობას და თითოეული მათგანის დებულებებს ამტკიცებს მინისტრი.

14. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების სტრუქტურასა და შტატებს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის დაწესებული რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი სარგოების სქემების დაცვით, აგრეთვე უშუალოდ სამინისტროს საქვეუწყებო ორგანოთა დებულებებს ამტკიცებს მინისტრი.

15. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

## 36 რ. ი. ლაღიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის რევაზ ილიას ძე ლაღიძის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, სადაც ცხოვრობდა რ. ი. ლაღიძე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაკუთვნოს რ. ი. ლაღიძის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

2. სრულიად საკავშირო ფირმა „მელოდიის" თბილისის გრამფირფიტების სახლმა გამოსცეს 1983 წელს ფირფიტა-გიგანტი რ. ი ლაღიძის სიმღერების ჩანაწერებით და ფირფიტები ოპერა „ლელას" ჩანაწერებით.

3. საქართველოს მუსიკალურმა ფონდმა გამოსცეს 1983 წელს რ. ი. ლაღიძის სიმღერების კრებული.

4. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს 1983—1984 წლებში რ. ი. ლაღიძის მონოგრაფია და წერილები.

5. მიეკუთვნოს რ. ი. ლაღიძის სახელი ქალაქ თბილისის № 4 მუსიკალურ სკოლას.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მიაკუთვნოს რ. ი. ლაღიძის სახელი თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკისა და სიმღერის სწავლების მეთოდკაბინეტს.

7. დაწესდეს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტის მუსიკისა და სიმღერის სპეციალობის ფრიადოსანი სტუდენტისათვის რ. ი. ლაღიძის სახელობის ერთი სტიპენდია ინსტიტუტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1982 წ. 17 მაისი, № 366

## 37 ტყის უბნებზე, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე მოსახლეობის მასობრივი დასვენების ადგილების ორგანიზაციის, გამოყენებისა და მოვლის წესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული „წესები ტყის უბნებზე, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის ტყით დაუფარავ მიწებზე მოსახლეობის მასობრივი დასვენების ადგილე-ბის ორგანიზაციის, გამოყენებისა და მოვლის შესახებ“, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 20 მაისი, №379

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 20 მაისის № 379 დადგენი-
ლებით

## წესები

## ტყის უბნებზე, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე მოსახლეობის მასობრივი დასვენების ადგილების ორგანიზაციის, გამოყენებისა და მოვლის შესახებ

მწვანე ზონის ტყის იმ უბნებზე, რომლებიც მოსახლეობის მასობრივი დასვენების მოსაწყობად დადგენილი წესის მიხედვით აქვთ გამოყოფილი და მიჩენილი საწარმოების, დაწესებულებების, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების, სკოლებისა და სხვა ორგანიზაციების კოლექტივებს, დროებით მოსარგებლე ვალდებულია:

— კეთილმოაწყოს ტყის უბანი, ააგოს დროებითი მსუბუქი ტიპის შენობები ან მოაწყოს კარვის ბანაკები, წინასწარშეთანხმებული და დამტკიცებული ტექნიკური პროექტის საფუძველზე, საპირფარეშოები წყალგაუმტარ ორმოებზე (თუ კანალიზაციის გაყვანა მოუხერხებელია). მტკიცედ დაიცვას გამოყოფილ ტერიტორიაზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები. კატეგორიულად აკრძალოს თვითნებური მშენებლობა;

— უზრუნველყოს მიჩენილ უბანზე ტყის კორომთა დაცვა; არ დაუშვას ხეებისა და ნარგავების უნებართვოდ მოჭრა ან დაზიანება; მტკიცედ დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო წესები;

— უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა, მაშველი რაზმების სამსახური წყალსაცავებში;

— დანიშნოს პასუხისმგებელი პირი დასვენების ადგილის გამოყენებისათვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების ზუსტად დაცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის მასობრივი დასვენებისათვის გამოყოფილი და დაწესებულება-ორგანიზაციებისათვის მიჩენილ ტყის უბნებზე წესრიგისა და სანიტარიული წესების დაცვისადმი კონტროლს ახორციელებს ტყის მფლობელი ორგანიზაცია.

ზემოაღნიშნული წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ტყის უბნით დროებით მოსარგებლე ორგანიზაციას და გამოიწვევს მიჩენილი უბნის ჩამორთმევასაც კი.

---

## 38 საადრეო კარტოფილის ახალი შესასყიდი და საცალო ფასების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საადრეო კარტოფილის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდების საქმეში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მატერიალური სტიმულირების მიზნით დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ, მოყოლებული 1982 წლის მოსავლიდან, აღნიშნული პროდუქციის ახალი შესასყიდი და საცალო ფასები შემდეგი ოდენობით:

| | შესასყიდი ფასი (მანეთი 1 ტონისათვის) | საცალო ფასი (მანეთი და კაპიკი 1 კილოგრამისათვის) |
|---|---|---|
| დამზადების დაწყებიდან 1 ივლისამდე | 450 | 0-50 |
| 1-დან 31 ივლისამდე | 320 | 0-40 |
| 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე | 225 | 0-25 |

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 3 სექტემბრის № 487 დადგენილების მე-2 პუნქტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 21 აგვისტოს № 460 დადგენილების 1-ლი პუნქტი საადრეო კარტოფილის საცალო ფასის ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნწარია.**

*ქ. თბილისი, 1982 წ. 31 მაისი. № 401*

ეროვნული ბიბლიოთეკა

**39 „საგარეჯოსა და მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოების მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 12 აპრილის № 249 დადგენილების დამატების თაობაზე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წინადადება და „საგარეჯოსა და მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოების მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 12 აპრილის № 249 დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტები:

„შინასამეურნეო სამელიორაციო სისტემათა ექსპლუატაციის გაუმჯობესებისა და მელიორირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლების მიზნით ნება დაერთოთ, როგორც გამონაკლისი, საგარეჯოსა და მცხეთის რაიონების მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოებს მიიღონ ბალანსზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან (მათი თანხმობით) შინასამეურნეო სამელიორაციო ქსელები, იმ ვარაუდით, რომ ექსპლუატაციის ხარჯები გაწეულ იქნეს მეურნეობათა სახსრებიდან“.

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გადასცენ დადგენილი წესით სახელმწიფო წყალსამეურნეო საექსპლუატაციო ორგანიზაციებს შინასამეურნეო სამელიორაციო ქსელები და დაადგინონ მათი ექსპლუატაციის ხარჯების ანაზღაურების წესი, აგრეთვე საექსპლუატაციო სამუშაოთა ნორმები (ნორმატივები), რომლებიც გამოყენებულ იქნება მეურნეობებსა და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოებს შორის ურთიერთანგარიშსწორებისას“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 3 ივნისი, № 406

17361

## 40 დმანისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის შექმნის შესახებ

დმანისის რაიონის ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლთა შესწავლის, დაცვის, კეთილმოწყობისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების კერის შექმნის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სისტემაში 1983 წლიდან დმანისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ 1983 წლის 1 აპრილამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მუზეუმ-ნაკრძალის დაცვის ზონისა და მასში შემავალი ძეგლების შესახებ.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ გაითვალისწინონ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებში დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის გახსნა.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1983 წელს გამოუყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ერთი ფინური სახლი დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაციული სამსახურისათვის და ექსპოზიციის მოსაწყობად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ:

— შეიმუშაოს 1983-1985 წლებში დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის სამოქმედო ზონაში შემავალ ძეგლთა შესწავლის, დაცვის, რესტავრაციის, პოპულარიზაციის, კეთილმოწყობისა და საექსკურსიო-მასობრივ სამუშაოთა გეგმა;

— დააწესოს სათანადო დაცვის ზონები იმ ძეგლებისათვის, რომლებიც მუზეუმ--ნაკრძალის დაქვემდებარებაში გადავა.

6. დმანისის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან შეთანხმებით განახორციელოს რაიონის ტერიტორიაზე არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ ძეგლთა მიმდინარე პროფილაქტიკური შეკეთება და კეთილმოწყობის სამუშაოები (ძეგლთან მისასვლელი ბილიკები, კიბეები, მოაჯირები, მაჩვენებელი წარწერები, ტერიტორიის განათება და სხვა).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჩითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 14 ივნისი, № 422.

## 41 საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი სატყეო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ

ტყეების დაცვის გაუმჯობესებისა და რაციონალური გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ ტყის კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი სატყეო ინსპექციის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჩითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 14 ივნისი, № 423.

დამტკიცებულია
**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 14 ივნისის № 423 დადგენილებით**

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი სატყეო ინსპექციის შესახებ

მოსახლეობის შეგნებულობის, პოლიტიკური აქტიურობის ზრდისა და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების ვითარებაში იქმნება მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ჩაბმისათვის საჭირო პირობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ტყის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრიობის აქტიურ მონაწილეობას ტყეების დაცვაში.

ასეთი მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა მშრომელთა ფართოდ ჩაბმა სახელმწიფო ტყის დაცვისათვის დახმარების გასაწევად საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორთა სახით და საზოგადოებრივ სატყეო ინსპექციათა შექმნა.

## I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ ტყის კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად საზოგადოებრივი სატყეო ინსპექციები იქმნება იმ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან.

2. საზოგადოებრივი სატყეო ინსპექციის ამოცანაა ხელი შეუწყოს სატყეო-სამეურნეო ორგანოებს ხანძრის, უკანონოდ გაჩეხვის, ტყითსარგებლობის დადგენილი წესის დარღვევებისა და ტყისათვის ზიანის მიმყენებელი სხვა მოქმედებისაგან ტყის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.

3. საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორებს სატყეო-სამეურნეო ორგანოთა შუამდგომლობით გამოყოფენ ადგილობრივი პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, სასწავლებლები და სახლმმართველობანი მოწინავე მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა, სტუდენტთა და მოსწავლეთაგან, რომელთაც 18 წელი შეუსრულდათ, აგრეთვე პენსიონერთაგან ნებაყოფლობის საწყისებზე.

4. კოლმეურნეობის, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მიერ გამოსაყოფ საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორთა რაოდენობას განსაზღვრავენ სახელმწიფო ტყის დაცვის ორგანოები ამ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

5. საზოგადოებრივი სატყეო ინსპექტორები მტკიცდებიან სატყეო მეურნეობის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სატყეო მეურნეობის სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროების ბრძანებებით.

6. საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორთა მუშაობას სატყეოებში უშუალოდ ხელმძღვანელობენ სატყეოთა უფროსები და მათი თანაშემწენი, სატყეო მეურნეობებში — ტყის დაცვის ინჟინრები, სატყეო მეურნეობის სამმართველოებსა და სამინისტროებში — ტყის დაცვის განყოფილებათა უფროსები ან უფროსი ინჟინრები და ინჟინრები, რომლებიც ტყის დაცვას განაგებენ.

7. სატყეო-სამეურნეო ორგანოები საზოგადოებრივი სატყეო ინსპექციის წარმატებული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით:

— ატარებენ საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორთა ინსტრუქტაჟს, სემინარებსა და თათბირებს მათი მუშაობის გამოცდილების გაზიარების საკითხებზე;

— ორგანიზაციას უწევენ საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორთა მუშაობას, პრაქტიკულად ეხმარებიან მათ, აგრეთვე ახორციელებენ ზედამხედველობას მათი საქმიანობისადმი;

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

—ავრცელებენ საუკეთესო საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორთა მიღწევებს, იყენებენ ამისათვის პერიოდულ პრესას, რადიოს, ტელევიზიას და ინფორმაციის სხვა არსებულ საშუალებებს.

8. საზოგადოებრივი სატყეო ინსპექტორებისადმი ჯეროვანი ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად და პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად მათ მიეჩინებათ დასაცავი უბნები.

დასაცავი უბანი შეიძლება იყოს სატყეო-სამეურნეო საწარმო ან მისი ნაწილი, სატყეო, სამცველო.

კონკრეტული პირობებისა და ტყის დაცვის თავისებურებათა მიხედვით საზოგადოებრივი სატყეო ინსპექტორები შეიძლება გაერთიანდნენ ჯგუფებად და მათ მიეჩინოთ ან არ მიეჩინოთ დასაცავი უბნები. საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორთა ჯგუფის სახელმძღვანელოდ გამოიყოფა ჯგუფის უფროსი. საჭიროების კვალობაზე აღნიშნული ჯგუფები გადაეცემა ტყის მცველის, ტყის ოსტატის, სატყეო უროსის თანაშემწის, სატყეოს უფროსის განკარგულებაში იმისათვის, რათა მონაწილეობა მიიღონ ტყეების პატრულირებაში, რეიდებსა და სხვა ღონისძიებებში.

9. საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორთა მუშაობის კოორდინაციის მიზნით სატყეო-სამეურნეო საწარმოებში, რომელთაც საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორთა რამდენიმე ჯგუფი ჰყავთ, იქმნება საზოგადოებრივი სატყეო ინსპექციის შტაბები ყველაზე აქტიურ საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორთა შემადგენლობით. საბჭოს თავმჯდომარე, როგორც წესი, არის სახელმწიფო ტყის დაცვის მუშაკი.

10. საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორებს ეძლევათ დადგენილი ნიმუშის მოწმობები, რომლებიც ადასტურებენ მათთვის მინიჭებულ უფლებებსა და რწმუნებებს, და სამკლაური წარწერით: „საქართველოს სსრ სახელმწიფო სატყეო ინსპექტორი".

მოწმობები და სამკლაურები გაიცემა საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორთა დამტკიცების ადგილზე.

## II. საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორთა მოვალეობანი

11. საზოგადოებრივი სატყეო ინსპექტორები მოვალენი არიან:

— იცოდნენ ტყესაჭრელი ბარათების, ზეზეური ხის წვრილი გაცემის ორდერების, ტყეების არაპირდაპირი სარგებლობის ბარათების გაცემის წესი და ამ დოკუმენტების ნიმუშები, ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევის, ტყის ხანძრის, ტყის კანონმდებლობის დარღვევის, ტყითსარგებლობის წესების დარღვევის აქტების, ნადირობის წესებისა და ვადების დარღვევის ოქმების შედგენის წესი, ტყის კანონმდებლობის დარღვევისათვის მატერიალური, სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დადგენილი ნორმები, დასაცავი უბნის საზღვრები, წყალსატევების, ხანძარსაწინააღმდეგო ნაგებობების, კავშირგაბმულობის პუნქტების განლაგების ადგილები, სახელმწიფო ტყის დაცვის იმ თანამდებობის პირთა მისამართები და ტელე-

ფონები, რომელთაც უნდა შეატყობინონ ტყის ხანძრის, ტყის კანონმდებლობის დარღვევისა და ტყისათვის ზიანის მიმყენებელი სხვა მოვლენების შესახებ.

განახორციელონ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ამასთან მიიზიდონ იგი ტყის დაცვაში მონაწილეობისათვის;

— სახელმწიფო ტყის დაცვის მუშაკებთან ერთად დამოუკიდებლად გაუწიონ კონტროლი საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას;

— ტყის ხანძრის გამოვლენისას უშუალოდ მიიღონ ზომები მის ჩასაქრობად, ამავე დროს ხანძრის შესახებ შეატყობინონ სატყეოს, სატყეო მეურნეობის ან სხვა სატყეო-სამეურნეო ორგანოს, სასოფლო საბჭოს, კოლმეურნეობის მუშაკებს;

— შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ საწარმოები, ორგანიზაციები და მოქალაქეები ხეზეური ხის გაცემის, თიბვის, პირუტყვის ძოვების წესებს და ტყითსარგებლობის სხვა წესებს, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ნადირობის წესებსა და ვადებს;

— მიიღონ ზომები ტყის უკანონო ჭრის, პირუტყვის უკანონო ძოვების, უკანონო თიბვისა და სხვა უკანონო ტყითსარგებლობის, აგრეთვე სახელმწიფოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე უკანონო ნადირობის შეწყვეტისათვის;

— შეატყობინონ სატყეოს, სატყეო მეურნეობას ან სხვა სატყეო-სამეურნეო ორგანოს ტყის მავნე მწერთა, ტყის დაავადებათა გაჩენისა და გავრცელების, ხეების ხმობისა და სხვა მოვლენების შესახებ, რომლებმაც შეიძლება ზარალი მიაყენონ სატყეო მეურნეობას;

— ზედამხედველობა გაუწიონ შემზღუდველი ნიშნების, ანშლაგების, ხიდების, სახანძრო კოშკების, სატელეფონო კავშირისა და ხანძარსაწინააღმდეგო და სატყეო-სამეურნეო დანიშნულების სხვა ელემენტების დაცვა-შენარჩუნებას მინდობილი დსაცავი უბნის ტერიტორიაზე;

— გადასცენ შესაბამისი სამცველო უბნის ტყის მცველის მეშვეობით სატყეოს დამოუკიდებლად შედგენილი აქტები ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევის, ტყის ხანძრის, ტყის კანონმდებლობის დარღვევის, ტყითსარგებლობის წესების დარღვევის შესახებ, ოქმები სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე უკანონო ნადირობის შესახებ დაწესებულ ვადებში;

— დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას ატარონ სამკლაური, თან ჰქონდეთ საზოგადოებრივი სატყეო ინსპექტორის მოწმობა.

### III. საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორთა უფლებანი

12. საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორებს უფლება აქვთ:

შეამოწმონ ტყის ჭრისა და გაზიდვის, პირუტყვის ძოვების, თიბვის, სხვა ტყითსარგებლობის, ნადირობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები;

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

— დააკავონ ტყის ხანძრის გაჩენის, თვითნებური ჭრისა და ტყის კანონმდებლობის სხვა დარღვევის, აგრეთვე ნადირობის წესებისა და ვადების დარღვევისათვის დამნაშავე პირნი;

— დააკავონ ტყეში ან ტყიდან მომავალ გზაზე ტყის კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული პროდუქცია;

— შეადგინონ აქტები ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევის, ტყის ხანძრის, ტყის კანონმდებლობის დარღვევის, ტყითსარგებლობის წესების დარღვევის შესახებ, ოქმები სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე უკანონო ნადირობის შესახებ;

— რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად მიიზიდონ ტყის ხანძრის ჩასაქრობად მოსახლეობა და კოლმეურნეობების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების სატრანსპორტო საშუალებანი, რიგგარეშე გამოიყენონ ტყის ხანძრის ჩაქრობის პერიოდში მთელი არსებული კავშირგაბმულობის საშუალებანი (რადიო, ტელეფონი, სელექტორი, ტელეგრაფი);

— მონაწილეობა მიიღონ სამცველო უბნების რევიზიებში;

— უთავმჯდომარეონ სატყეო-სამეურნეო ორგანოთა ადმინისტრაციის დათვალიერებით სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებსა და სახელმწიფო არბიტრაჟში საქმეებს ტყის კანონმდებლობის დარღვევისა და ტყის ხანძრების გამო;

— შეიტანონ სატყეო-სამეურნეო ორგანოებში წინადადებანი ტყეების დაცვის საქმის გაუმჯობესების შესახებ.

### IV. წახალისების ღონისძიებანი და პასუხისმგებლობა

13. ტყის დაცვაში აქტიური მონაწილეობისა და დაკისრებულ მოვალეობათა სანიმუშოდ შესრულებისათვის საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორებს წაახალისებენ სატყეო-სამეურნეო ორგანოთა ხელმძღვანელები მადლობის გამოცხადებით, საპატიო სიგელების გადაცემით, საპატიო დაფაზე შეტანით, ფასიანი საჩუქრებით.

14. საზოგადოებრივ სატყეო ინსპექტორთა წასახალისებლად სატყეო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელები გამოუყოფენ მათ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით სათიბ ნაკვეთებს, აგრეთვე მისცემენ შეღავათიან პირობებში დაწესებული ნორმების მიხედვით შეშას სათბობად.

15. საზოგადოებრივი სატყეო ინსპექტორის კარგი მუშაობის შესახებ შეატყობინებენ ორგანიზაციას, რომელმაც რეკომენდაცია გაუწია მას.

16. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი სატყეო ინსპექტორი სისტემატურად არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, სატყეო-სამეურნეო ორგანოს წარდგენით იგი შეიძლება გაიწვიოს იმ ორგანიზაციამ, რომელმაც გამოყო იგი ინსპექტორად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 42 სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების დებულება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 15 სექტემბრის № 485 დადგენილებით დამტკიცებული დებულება „მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჩითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 15 ივნისი, № 430

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 15 ივნისის № 430 დადგენილებით

### დებულება

### სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილების შესახებ

1. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილება თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ასევე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს.

2. კულტურის განყოფილება არის სახელმწიფო მმართველობის დარგობრივი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს კულტურის დაწესებულებების მუშაობას რაიონისა და ქალაქის ტერიტორიაზე.

3. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილების მთავარი ამოცანებია:

— რაიონის (ქალაქის) კულტურის დაწესებულებების მუშაობის ხელმძღვანელობა, კონტროლი და პრაქტიკული დახმარება, მათი ფინანსურ-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად ღონისძიებათა განხორციელება; რაიონის

ბიბლიოთეკების ცენტრალიზაციის, ცენტრალიზებული საკლუბო დაწესებულებების სისტემის, სოფლის კულტურის დაწესებულებების სოციალურ-კულტურული კომპლექსების შექმნა და მათი საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა;

— პარტიისა და მთავრობის მიერ კულტურის საკითხებზე მიღებული დადგენილებებისა და სხვა სახელმძღვანელო გადაწყვეტილების შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი.

4. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილება მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად;

— ახორციელებს რაიონში, (ქალაქში) არსებულ ყველა კულტურის დაწესებულების, კულტურის სახლის, კლუბის, სახალხო უნივერსიტეტის, კულტურისა და დასვენების პარკის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის, სახალხო და სახელმწიფო თეატრის, ანსამბლის, სტუდიის, სამუსიკო და სამხატვრო სკოლის, კულტურის პროფილის სხვა სპეციალური სასწავლებლის რეგისტრაციას და აღრიცხვას მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

— ხელმძღვანელობს მუზეუმების, მასობრივი ბიბლიოთეკების, კულტურისა და დასვენების პარკების, კლუბების, სახელმწიფო და სახალხო თეატრების, ანსამბლების, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების, სტუდიების, სასწავლებლების, სახალხო უნივერსიტეტებისა და საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას.

— გეგმავს კულტურის სახელმწიფო დაწესებულებების განვითარებას; მეთვალყურეობას უწევს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესაბამისად მათი დროულად გახსნის საკითხს; დახმარებას უწევს რაიონის (ქალაქის) კულტურის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს რაიონსა და ქალაქში კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობის განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეში. ახორციელებს კონტროლს მათი დროულად დაფინანსებისა და საფინანსო-სამეურნეო გეგმის შესრულებისადმი;

— აწყობს მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საუკეთესო მიღწევათა გავრცელებას, ახორციელებს რაიონის (ქალაქის) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, ხელმძღვანელობს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

— მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევს ყველა სისტემისა და უწყების კულტურის დაწესებულებას რაიონის (ქალაქის) მშრომელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებაში;

— განიხილავს და ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხუთწლიან, წლიურ და კვარტალურ სამუშაო გეგმებს, აჯამებს განყოფილების ყველა სახეობის შემოქმედებითი, საწარმოო, სამეურნეო საქმიანობის სამუშაო გეგმების შესრულებას ყველა დარგის მიხედვით და წარუდგენს მათ სახალხო დეპუტატთა რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახორციელებს დაქვემდებარებულ კულტურის დაწესებულებათა ფინანსურ კონტროლს; საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ორგანოს წინაშე აყენებს საკითხს დოკუმენტური რევიზიის ჩატარების შესახებ;

— ხელმძღვანელობს მხატვრულ თვითმოქმედებას, კონტროლს უწევს თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარს, აწყობს ცეკვისა და სიმღერის საღამოებსა და დღესასწაულებს; ატარებს რაიონულ ფესტივალებს, ოლიმპიადებსა და დათვალიერებებს;

— ხელმძღვანელობს და აკონტროლებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორთა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მეცნიერებისა და კულტურის სპეციალისტთა ძალებით გაწეულ სალექციო პროპაგანდას;

— ყოველმხრივ უწყობს ხელს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების დანერგვასა და განვითარებას;

— ახორციელებს რაიონსა და ქალაქში არქეოლოგიის, ისტორიის, არქიტექტურისა და კულტურის ძეგლთა სახელმწიფო დაცვისა და აღრიცხვის ღონისძიებებს;

— გეგმავს და უზრუნველყოფს რაიონის (ქალაქის) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს ინვენტარით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, პროპაგანდის ტექნიკური საშუალებებით, საბიბლიოთეკო ტექნიკითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური მოწყობილობებით მომარაგებას; კონტროლს უწევს საშენი მასალების დანიშნულებისამებრ გამოყენებას და ახორციელებს მშენებლობას, შენობათა რემონტსა და რეკონსტრუქციას;

— ეხმარება რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე განლაგებულ რესპუბლიკური დაქვემდებარების კულტურის დაწესებულებებს მუშაობაში, აგრეთვე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ცალკეულ დავალებათა შესრულებაში;

— ყველა უწყებისა და სისტემის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობისადმი საზოგადოებრივი ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის მიზნით ქმნის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რაიონულ (საქალაქო) საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს, რომელიც მოქმედებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად;

— ხელს უწყობს საკლუბო დაწესებულებებში კინოფილმების დემონსტრირებას. ფილმების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით რაიონებისა და ქალაქების კინოფიკაციის დირექციებთან დებს ხელშეკრულებას;

რაიონში (ქალაქში) კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მდგომარეობის შესწავლისა და მისი მიმართულების განსაზღვრის მიზნით შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებს, ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკურ სამეცნიერო მეთოდურ ცენტრსა და სხვა კომპეტენტურ ორგანიზაციებს ეხმარება კულტურის საკითხებზე მოსახლეობის სოციოლოგიურ გამოკვლევაში. შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ნერგავს

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკულ საქმიანობაში;

— კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ატარებს რაიონულ (საქალაქო) სემინარებს და კურს-კონფერენციებს;

— ხელმძღვანელობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლასა და მისი შედეგების შეჯამებას;

— რაიონში, ქალაქში ჩამოსულ პროფესიულ თვითმოქმედ კოლექტივებსა და ცალკეულ შემსრულებლებს აძლევს გასტროლების უფლებას. შეარჩევს მათთვის საკლუბო დაწესებულებებს ღონისძიების ჩასატარებლად. უფლება აქვს არ დაუშვას ან საჭიროების შემთხვევაში შეწყვიტოს კონცერტებისა და სპექტაკლების ჩატარება.

5. კულტურის განყოფილება დაკისრებულ ამოცანებს ახორციელებს პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში.

6. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ბრძანებებითა და სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებით, განკარგულებებითა და ამ დებულებით.

7. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილება იმყოფება ადგილობრივ ბიუჯეტზე. კულტურის განყოფილებას უფლება აქვს გახსნას ბანკში ანგარიში და აწარმოოს ანგარიშსწორება, იქონიოს დამოუკიდებელი და დაქვემდებარებულ წარმოებათა, კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულებათა ნაკრები ბალანსები.

8. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილებას სათავეში უდგას განყოფილების გამგე, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭო.

9. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე:

— ხელმძღვანელობს განყოფილების საქმიანობას; უზრუნველყოფს მის წინაშე დასმული ამოცანების შესრულებას; განსახილველად შეაქვს რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა პროექტები კულტურის საკითხებზე;

— განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილებათა, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ზემდგომი ორგანო-ების ბრძანებულებათა, დადგენილებათა და განკარგულებათა შესასრულებლად;

— იღებს მოქალაქეებს, განიხილავს მოქალაქეთა წერილებს, განცხადებებს და ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს მათში აღძრული საკითხების მოსაგვარებლად, განაგებს კრედიტებს და სახსრებს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და ასიგნებათა ფარგლებში.

— უზრუნველყოფს საშტატო-ფინანსურ დისციპლინას, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვას;

— სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს თანამშრომლებს შრომის კანონმდებლობის მოხოვნათა დაცვით, კულტურის განყოფილებების მუშაკთათვის დაწესებული წესებისა და დამტკიცებული ნომენკლატურის შესაბამისად.

10. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და მისი სახელწოდება.

---

## 43 მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო ნებაყოფლობითი დაზღვევის შესახებ

„მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო ნებაყოფლობითი დაზღვევის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 15 აპრილის № 307 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ „მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო ნებაყოფლობითი დაზღვევის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 15 აპრილის № 307 დადგენილებით:

ა) დაწესდა, რომ:

— სახელმწიფო ნებაყოფლობითი დაზღვევის წესით შეიძლება დაზღვეულ იქნეს მოქალაქეთა პირადი საკუთრების ქონება;

— მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო ნებაყოფლობითი დაზღვევის სახეობებს განსაზღვრავს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო;

— მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო ნებაყოფლობითი დაზღვევა ხდება სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა იმ მოვლენების შედეგად მისი განადგურების, დაღუპვის, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, რომელთა ნუსხას განსაზღვრავს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო;

— მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო ნებაყოფლობითი დაზღვევის წესით დაზღვევის თანხები არ შეიძლება აღემატებოდეს:

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

შენობა-ნაგებობებისათვის — სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის მიზნით გამოყენებული შეფასებითი ნორმების მიხედვით გამოანგარიშებული მათი ღირებულებისა (ცვეთის გათვალისწინებით) და შენობა-ნაგებობათა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის წესით დაზღვევის თანხის სხვაობას;

ცხოველებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევას, — სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის მიზნით გამოანგარიშებული ყოველი სახეობისა და ასაკობრივი ჯგუფის ცხოველის საშუალო ღირებულებისა და ცხოველთა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის წესით დაზღვევის თანხის სხვაობას;

ცხოველებისათვის, რომლებიც არ ექვემდებარებიან სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევას — ყოველი სახეობისა და ასაკობრივი ჯგუფის ცხოველის საშუალო ღირებულებას, რომელსაც განსაზღვრავენ სახელმწიფო შესასყიდი ფასების მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები ან მათი დავალებით სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, რაიონებისა და ქალაქებისათვის;

სატრანსპორტო საშუალებების, საოჯახო და სხვა ქონებისათვის — მის ღირებულებას (ცვეთის გათვალისწინებით), რომელიც გამოიანგარიშება სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით;

— დაზღვევის თანხების მაქსიმალურ ოდენობას (ქონების ღირებულების პროცენტულად) და დაზღვევის გადასახდელთა განაკვეთებს აწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო;

— დაზღვეული ქონების განადგურების, დაღუპვის, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში დამზღვევი, ხოლო მისი არყოფნისას — ოჯახის (კომლეურნე კომლის) სრულწლოვანი წევრი მოვალეა ერთი დღე-ღამის ვადაში განუცხადოს ამის შესახებ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციას, ხოლო შენობა-ნაგებობათა და ცხოველთა მიმართ სოფლად — სახალხო დეპუტატთა სადაბო ან სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

სახალხო დეპუტატთა სადაბო ან სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა არა უგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციას, რომ შემოვიდა განცხადება დაზღვეულ შენობა-ნაგებობათა განადგურების ან დაზიანების შესახებ;

— დაზღვეული ქონების განადგურების, დაღუპვის, დაკარგვის ან დაზიანების შესახებ დგება აქტი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით;

— აქტებს ადგენენ:

ქალაქად ცხოველთა დაღუპვის, იძულებით დაკვლის ან განადგურების შესახებ, აგრეთვე შენობა-ნაგებობათა, სატრანსპორტო საშუალებათა, საოჯახო და სხვა ქონების განადგურების, დაკარგვის ან დაზიანების შესახებ — სახელმწიფო დაზღვევის ინსპექცია.

სოფლად ცხოველთა დაღუპვის, იძულებით დაკვლის ან განადგურების შესახებ — სახალხო დეპუტატთა სადაბო ან სასოფლო საბჭოს აღმასრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი კომიტეტი. სახალხო დეპუტატთა სადაბო ან სასოფლო საბჭოს აღმასრუ-ლებელი კომიტეტი მოვალეა დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შედგენილი აქტი სა-ხელმწიფო დაზღვევის ინსპექციას;

— აქტების შედგენის წესი და ვადები განისაზღვრება სახელმწიფო ნება-ყოფლობითი დაზღვევის წესებით;

— სავეტერინარო სამსახურის სპეციალისტები მოვალენი არიან გასცენ დასკვნა ცხოველთა დაავადებისა და დაღუპვის, იძულებით დაკვლის ან განად-გურების მიზეზების შესახებ;

— მოქალაქეთა კუთვნილი განადგურებული, დაღუპული, დაკარგული ან დაზიანებული ქონებისათვის სადაზღვევო საზღაურის გაცემის საკითხის გადა-წყვეტისას სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ამ დადგენილების მე-5 პუნქ-ტის შესაბამისად შედგენილი აქტების გარდა იყენებენ შინაგან საქმეთა, სოფ-ლის მეურნეობის, ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ორგანოთა და სხვა კომპეტენტურ ორგანოთა დასკვნებს. ეს ორგანოები სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციების მოთხოვნით აძლევენ მათ საჭირო დოკუმენტებს ქონების განად-გურების, დაღუპვის, დაკარგვის ან დაზიანების ადგილის, დროისა და მიზეზის შესახებ, აგრეთვე სხვა გარემოებათა შესახებ, რომელთაც მნიშვნელობა ენი-ჭებათ სადაზღვევო საზღაურის გაცემის საკითხის გადასაწყვეტად. საჭირო შემ-თხვევებში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას გამოიყენება აგრეთვე პრო-კურატურისა და სასამართლოს ორგანოთა დოკუმენტების ასლები;

— სადაზღვევო საზღაურს გასცემს სახელმწიფო დაზღვევის ინსპექცია;

— სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს უფლება აქვთ უარი თქვან სადაზ-ღვევო საზღაურის მთლიანად ან ნაწილობრივ გაცემაზე, თუ დაზღვეული ქონე-ბა განადგურდა, დაიღუპა, დაიკარგა ან დაზიანდა იმის შედეგად, რომ დამზღვევ-მა ან მისი ოჯახის (კოლმეურნე კომლის) სრულწლოვანმა წევრმა ჩაიდინეს სა-ხელმწიფო ნებაყოფლობითი დაზღვევის წესებით გათვალისწინებული განზრახ ან სხვა დანაშაულებრივი მოქმედება, აგრეთვე თუ აღნიშნულმა პირებმა არ შეასრულეს დაზღვევის წესებით დადგენილი მოვალეობანი;

— დაზღვევის გადასახდელთა 4 პროცენტი გადაირიცხება მოქალაქეთა კუთვნილი შენობა-ნაგებობებისა და სხვა ქონების დაღუპვისა და დაზიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა დასაფინანსებლად. ეს სახსრები შედის მო-კავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში და სახელმწიფო ორგანოები ხარჯავენ მხოლოდ ზემოაღნიშნული მიზნებისათვის.

ამ ღონისძიებათა ნუსხას, აგრეთვე აღნიშნული სახსრების ხარჯვის წესს განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები;

— მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო ნებაყოფლობითი დაზ-ღვევის წესებს ამტკიცებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო;

ბ) სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში შეტანილია შემდეგი ცვლილებანი:

— „საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ქონების სახელმწი-ფო დაზღვევის შესახებ" სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 3 თებერვლის № 111 დადგენილების (სსრკ დადგ. კრებ., 1938 წ., №7, მუხ. 46,

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

1958 წ., № 16, მუხ. 129) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ახორციელებენ კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონების ნებაყოფლობით დაზღვევას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული წესებისა და ინსტრუქციების მიხედვით.

კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონების სახელმწიფო ნებაყოფლობითი დაზღვევის სახეობებს განსაზღვრავს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

დაზღვევის გადასახდელთა 8—10 პროცენტი გადაირიცხება კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კუთვნილი ქონების დაღუპვისა და დაზიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

ამ ღონისძიებათა ნუსხას, აგრეთვე აღნიშნული სახსრების ხარჯვის წესს განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები“;

—„მოქალაქეთა კუთვნილი იმ შენობების ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებულ უნდა იქნენ ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 დადგენილების (სსრკ დადგ კრებ., 1961 წ., № 20, მუხ. 146) მე-2 პუნქტის მესამე აბზაცში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 დეკემბრის № 1333 დადგენილებით (სსრკ დადგ. კრებ., 1959 წ., № 20, მუხ. 162)“ შეიცვალა სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 ოქტომბრის № 961 დადგენილებით“;

— „გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ასიგნებების ხარჯზე კოლმეურნეობებისა და კერძო პირებისაგან შენობა-ნაგებობათა შეძენის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 26 ნოემბრის № 1186 დადგენილების მეორე აბზაცში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 დეკემბრის № 1333 დადგენილებით“ შეიცვალა სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 ოქტომბრის № 961 დადგენილებით“;

გ) ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 დეკემბრის № 1333 დადგენილება „კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1959 წ., № 20, მუხ. 162);

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 8 ივნისის № 386 დადგენილება „მოქალაქეთა კუთვნილი შენობა-ნაგებობების ნებაყოფლობითი დაზღვევისას მათი შეფასების წესის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1973 წ.,, № 14, მუხ. 73);

დ) აღნიშნული დადგენილება შემოღებულია სამოქმედოდ 1983 წლის 1 იანვრიდან.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 დეკემბრის № 853 დადგენილებით დამტკიცდა დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე დასაფინანსებელ ღონისძიებათა ნუსხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შეიმუშაოს და
განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ
რესპუბლიკაში სახელმწიფო ნებაყოფლობითი დაზღვევის შემდგომი განვითა-
რების უზრუნველყოფას, პირადი ქონების დაზღვევის გაფართოებას, სახელმ-
წიფო დაზღვევის ორგანოთა მუშაობის გაუმჯობესებას, მშრომელთა მომსახუ-
რების კულტურის ამაღლებას და დაზღვევის სისტემაში სამეურნეო ანგარიშის
პრინციპების განმტკიცებას.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსე-
თის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო
დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სახელმწიფო
დაზღვევის განვითარების საკითხებს, გაუწიონ სახელმწიფო დაზღვევის ორ-
განოებს ყოველმხრივი დახმარება, უზრუნველყონ მათი მუშაობის ძირეული
გაუმჯობესება, მიიღონ ზომები დაზღვევაში მშრომელთა მაქსიმალური ჩაბმი-
სათვის.

5. შეტანილ იქნეს „მოქალაქეთა კუთვნილი იმ შენობების ღირებულების
ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებულ უნდა იქნეს ქალაქებში, ქა-
ლაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზო-
გადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირე-
ბით“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივნისის № 436
დადგენილების მე-3 პუნქტში შემდეგი ცვლილება: სიტყვები: „სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 დეკემბრის დადგენილება (სსრკ დადგ. კრებ.,
1959 წ., № 20, მუხ. 162)“ შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭოს 1981 წლის 2 ოქტომბრის № 961 დადგენილება“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჩითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 15 ივნისი. № 432

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 44 საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

2. საჭიროდ ჩაითვალოს გაძლიერდეს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა პასუხისმგებლობა სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებში სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების უზრუნველყოფისათვის, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ წარმოებაში შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნა მათი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ამ დარგში დადგენილი წესებისა და ნორმების განუხრელი დაცვის უზრუნველსაყოფად.

4 ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 15 მაისის № 237 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები“ და 1972 წლის 3 ოქტომბრის № 514 დადგენილება „ატომურ ენერგეტიკაში სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოებისათვის სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანიზაციის შესახებ“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **Ნ. ჩითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **Ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 24 ივნისი, № 458

მუხ. 44
ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 ივნისის № 458 დადგენილებით

# დებულება

## საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის (საქსახსამთოტექზედამხედველობა) შესახებ

1. საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი (საქსახსამთოტექზედამხედველობა) სახელმწიფო მმართველობის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანოა.

საქსახსამთოტექზედამხედველობის ამოცანაა უზრუნველყოს, რომ რესპუბლიკის ფარგლებში ყველა სამინისტრომ, უწყებამ, საწარმომ, გაერთიანებამ, ორგანიზაციამ, დაწესებულებამ და თანამდებობის პირმა დაიცვას მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების მოთხოვნები, წიაღით სარგებლობის დადგენილი წესი, შეასრულოს წიაღის დაცვის მოვალეობანი და განახორციელოს პროფილაქტიკური მუშაობა ამ საკითხებზე.

საქსახსამთოტექზედამხედველობის მთელი საქმიანობა მისი კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხთა გადაწყვეტისას მიზნად უნდა ისახავდეს სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფას, ავარიებისა და საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილებას, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა რაციონალურ გამოყენებასა და წიაღის დაცვას, ფეთქებადი მასალების დაცვა-შენახვას და მათ სწორად გამოყენებას სახალხო მეურნეობაში, ამ საკითხზე პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებას.

საქსახსამთოტექზედამხედველობას ეკისრება პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ორგანიზაცია გაუწიოს და განახორციელოს სისტემატური და ქმედითი სახელმწიფო ზედამხედველობა თავის საქვეკონტროლო ობიექტებზე მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესების დაცვისადმი და წიაღისეულის გამოყენებისას.

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქსახსამთოტექზედამხედველობა სახელმწიფო ზედამხედველობას უწევს:

სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების მდგომარეობას ქვანახშირის, სამთამადნო, სამთოქიმიურ, მეტალურგიულ, ნავთობმომპოვებელ, გაზმომპოვებელ, ნავთობგადამმუშავებელ, გაზგადამმუშავებელ მრეწველობაში, მინერალური სასუქების მრეწველობაში, გეოლოგიურ-სადაზვერვო და კომიტეტის საქვეკონტროლო სხვა სამთო სამუშაოთა წარმოებისას, ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სოფლებში გაზმომარაგების სისტემათა მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს, აგრეთვე ბუნებრივი და თხევადი (პროპან-ბუტანი) გაზების ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ ობიექტებზე (უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) და რესპუბლიკის ყველა აფეთქებასაფრთხიანი და ხანძარსახიფათო ქიმიურ და ნავთობქიმიურ წარმოებაში სამუშაოთა განხორციელებისას.

სამრეწველო ფეთქებადი მასალების შენახვას, გამოყენებასა და აღრიცხვას;

ამწე ნაგებობების, ქვაბდანადგარებისა და წნევით მომუშავე ჭურჭლის, ორთქლისა და ცხელი წყლის მილსადენების დამზადებას, მოწყობასა და უსაფრთხო ექსპლუატაციას;

ტექნიკურ უსაფრთხოებას ატომური ელექტროსადგურების, ატომური თბოელექტროცენტრალების, ატომური თბომომარაგების სადგურების, საცდელი და კვლევითი ბირთვული რეაქტორებისა და დანადგარების მშენებლობისა და ექსპლუატაციის, აგრეთვე მათთვის მოწყობილობის დამზადების დროს;

წიაღის რაციონალური, კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფას სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა, მათ შორის ჰიდრომინერალური რესურსების საბადოთა დამუშავებისას (აგრეთვე მოქმედ საწარმოთა მიერ საბადოების დამატებითი დაზვერვისას, წიაღის სრული და კომპლექსური გეოლოგიური შესწავლის გარდა), აგრეთვე გამომუშავებული სამთო გვირაბებისა და ბუნებრივ მიწისქვეშა სიღრუეთა გამოყენებას იქ სახალხო-სამეურნეო ობიექტების მოსათავსებლად.

საქსახსამთოტექზედამხედველობის საქვეკონტროლო საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, ორგანიზაციათა და ობიექტების ნუსხას ამტკიცებს სსრ კავშირის მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი (საკსახსამთოტექზედამხედველობა), ხოლო რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით — საკსახსამთოტექზედამხედველობა ამ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით

3. საქსახსამთოტექზედამხედველობა მისთვის დაკისრებულ სახელმწიფო ზედამხედველობას რესპუბლიკაში ახორციელებს უშუალოდ თავისი საქვეუწყებო რესპუბლიკური დარგობრივი ინსპექციების (საოლქოს უფლებებით), რაიონული სამთო-ტექნიკური და რაიონული დარგობრივი ინსპექციების მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული ინსპექციები შეადგენენ საქსახსამთოტექზედამხედველობის ერთიან სისტემას და მხოლოდ მას ექვემდებარებიან

4. საქსახსამთოტექზედამხედველობა ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს. საქსამთოტექზედამხედველობის დებულებას, აგრეთვე მის სტრუქტურასა და ცენტრალური აპარატის მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქსახსამთოტექზედამხედველობასთან შეთანხმებით.

საქსახსამთოტექზედამხედველობის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს ამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე.

5. საქსახსამთოტექზედამხედველობა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების და მათი პრეზიდიუმების სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქსახსამთოტექზედამხედველობის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, ამ დებულებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით, და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას საქვეუწყებო ქვედანაყოფებში.

საქსახსამთოტექზედამხედველობა განაზოგადებს მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების, წიაღის გამოყენებისა და დაცვის, სახალხო მეურნეობაში ფეთქებად ნივთიერებათა გამოყენების დარგში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და წარუდგენს მათ დადგენილი წესით განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქსახსამთოტექზედამხედველობას.

6. საქსახსამთოტექზედამხედველობა მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად თავის საქმიანობას წარმართავს იმისათვის, რომ გამოავლინოს და აღმოფხვრას ავარიების წარმოქმნისა და საწარმოო ტრავმატიზმის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები, სრულყოს სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია და უზრუნველყოს მისი მოთხოვნების შესრულება, უზრუნველყოს სამუშაოთა ხელმძღვანელობის საჭირო დონე, დაიცვას წიაღით სარგებლობის დადგენილი წესი, და ამ მიზნით:

კონტროლს უწევს მოწყობილობის უსაფრთხოდ გამოყენებისა და ექსპლუატაციის და სამთო და ასაფეთქებელ სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების მოთხოვნების დაცვას. მტვერგაზის და ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმების დაცვას, სავენტილაციო სისტემების მდგომარეობას, გაზდინამიკური მოვლენებისა და სამთო დარტყმის თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელებას, მოქმედ, მშენებარე, სარეკონსტრუქციო შახტებში, მაღაროებში, კარიერებზე, სამთო-გამამდიდრებელ და საბრიკეტებელ საწარმოებში, გვირაბებისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობისას, გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა წარმოებისას, აგრეთვე სახალხო მეურნეობაში ნამუშევარი სამთო გვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზებისა და ბუნებრივ მიწისქვეშა სიღრუეთა გამოყენებისას უსაფრთხოების ტექნიკის სხვა მოთხოვნების შესრულებას;

კონტროლს უწევს საქართველოს სსრ კონტინენტურ შელფზე მინერალური და სხვა არაცოცხალი რესურსების სწორად დამუშავებასა და დაცვას, აგრეთვე სამუშაოთა უსაფრთხოებას ამ რესურსების კვლევის, დაზვერვისა და დამუშავების დროს;

განიხილავს დასკვნისათვის წარდგენილ წიაღის დაცვის და მინერალური რესურსების რაციონალური გამოყენების გეგმის განაყოფის პროექტებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებში შესატანად, კონტროლს უწევს იმას, რომ რესპუბლიკის საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შეასრულონ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო გეგმების ზემოაღნიშნულ განაყოფში დაწესებული დავალებანი;

აკონტროლებს სასარგებლო წიაღისეულის (ჰიდრომინერალური რესურსების ჩათვლით) საბადოთა დამუშავების სისწორეს მარაგის მთლიანად ამოღებისა და ძირითადი და მასთან ერთად არსებული სასარგებლო წიაღისეულის კომპლექსური ამოღების ნაწილში, სასარგებლო წიაღისეულის მარაგის აღრიცხვის დადგენილი წესის დაცვას სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოებში, შახტების, მაღაროების, კარიერების და სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ სხვა საწარმოთა ან ცალკეული სამთო გვირაბების, ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ლიკვიდაციისა და კონსერვაციის სისწორეს სამუშაოთა უსაფრთხოების, წიაღის დაცვის და სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებლად გამოსადეგი სამთო გვირაბების შენარჩუნების ნაწილში; მონაწილეობს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ნამუშევარი სამთო გვირაბებისა და ბუნებრივ მიწისქვეშა სიღრუეთა შერჩევაში იქ სახალხო-სამეურნეო ობიექტების მოსათავსებლად;

ამოწმებს სამთო სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების საზღვრების დადგენის დროულობასა და სისწორეს, ადამიანის ჯანმრთელობაზე, გარემოზე, შენობა-ნაგებობებზე სამთო სამუშაოთა მავნე გავლენის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის და შახტებსა და მაღაროებში, აგრეთვე სახალხო-სამეურნეო ობიექტების მოსათავსებლად გამოყენებულ ნამუშევარ სამთო გვირაბებსა და ბუნებრივ მიწისქვეშა სიღრუეებში (დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად) წყლის შევარდნის თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელებას; ამოწმებს სამარკშაიდერო და გეოლოგიურ სამუშაოთა წარმოების წესების დაცვას სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების და სახალხო მეურნეობაში ნამუშევარი სამთო გვირაბებისა და ბუნებრივ მიწისქვეშა სიღრუეთა გამოყენების დროს;

გეოლოგიური სამსახურის ორგანოთა დასკვნების გათვალისწინებით მიუზომავს სამთო ნაკვეთებს სასარგებლო წიაღისეულის (საყოველთაოდ გავრცელებულის გარდა) საბადოთა დასამუშავებლად და ნამუშევარ სამთო გვირაბებსა და ბუნებრივ მიწისქვეშა სიღრუეებში სახალხო-სამეურნეო ობიექტების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასაშენებლად, რეგისტრაციაში ატარებს სამთო ნაკვეთებს საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დასამუშავებლად;

აკონტროლებს 0,07 მპა-ზე (0,7 კგს/კვ. სმ) მეტი წნევით მომუშავე ორთქლის ქვაბებისა და ჭურჭლის, ცელსიუსით 115 გრადუსზე მეტი თბობის ტემპერატურის წყალსათბობი ქვაბების, ორთქლისა და ცხელი წყლის მილსადენების, ტვირთამწევების, ლიფტების (მცირე სატვირთო ლიფტების გარდა), ესკალატორების, ფუნიკულიორების, კიდული საბაგირო და სატვირთო ბაგირგზების დამზადებისა და ექსპლუატაციის წესების დაცვას;

აკონტროლებს ატომური ელექტროსადგურების, ატომური თბოელექტროცენტრალებისა და თბომომარაგების ატომური სადგურების, საცდელი და კვლევითი ბირთვული რეაქტორებისა და დანადგარების ექსპლუატაციის, აგრეთვე მათთვის მოწყობილობის კონსტრუირებისა და დამზადების დროს მოწყობისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვას;

რეგისტრაციაში ატარებს გაზზედამხედველობის, ატომური ენერგეტიკის ობიექტებს, წნევით მომუშავე ქვაბდანადგარებს, ჭურჭელს, ორთქლისა და ცხელი წყლის მილსადენებს და ამწე ნაგებობებს (ფეთქებადი მასალების საწყობებს) და გასცემს მათი მშენებლობისა და ექსპლუატაციის ნებართვას;

— აწარმოებს წესებით გათვალისწინებულ ქვაბზედამხედველობის ობიექტების, მიწისქვეშა ნაგებობების, ატომური ენერგეტიკის მოწყობილობის ტექნიკურ შემოწმებას და აკონტროლებს საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ ასეთი მოწყობილობის დროულად შემოწმებას;

კონტროლს უწევს აფეთქების, აფეთქებახანძრისა და ხანძრის საფრთხის მხრივ შესაბამისი კატეგორიებისათვის წარმოებათა მიკუთვნების სისწორეს და ერთი კატეგორიიდან მეორეში წარმოებათა გადაყვანის სისწორეს, აგრეთვე აკონტროლებს, შეესაბამება თუ არა გამოყენებული მოწყობილობა აფეთქებასაფრთხიან ნარევთა ჯგუფს და აფეთქებასაფრთხიან ზონათა კლასს; განსაზღვრავს გაერთიანებების (კომბინატების) წარდგენით შახტების (მაღაროების) შესაბამის კატეგორიებს გაზის მხრივ, მიაკუთვნებს მათ ქანის, მადნის, ქვანახშირისა და გაზის მტვრის, უეცარი ამოფრქვევის, სამთო დარტყმის მხრივ სახიფათო კატეგორიებს და ამტკიცებს შახტების (მაღაროების) გადაყვანას გაზის მხრივ ერთი კატეგორიიდან მეორეში;

განიხილავს შესათანხმებლად წარსადგენ სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმებს, სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოებში სასარგებლო წიაღისეულის დანაკარგებსა და გაღარიბების ნორმატივებს, წიაღის უსაფრთხოებისა და დაცვის მოქმედი წესების მოთხოვნისაგან დასაბუთებული გადახრით ან ასეთი წესების არარსებობისას შემუშავებულ საპროექტო გადაწყვეტილებას და აკონტროლებს მათ შესრულებას, განიხილავს წინადადებებს იმის შესახებ, რომ სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოთა აღრიცხვიდან ჩამოიწეროს იმ სასარგებლო წიაღისეულის საბალანსო მარაგი, რომელმაც დაკარგა სამრეწველო მნიშვნელობა, გაქრა მოპოვების პროცესში ან არ დადასტურდა შემდგომი გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებით ან საბადოს დამუშავებისას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდიკურ ხელმძღვანელობას უწევს საცხოვრებელ სახლებსა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოებში საყოფაცხოვრებო გაზის დანადგარების გამომყენებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას ამ დანადგარების ტექნიკური მდგომარეობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფისადმი კონტროლის განსახორციელებლად;

აკონტროლებს ტექნოლოგიურ პროცესთა მარეგულირებელ ინსტრუქციებსა და რეგლამენტებში სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ცვლილებათა დროულად შეტანას;

კონტროლს უწევს ავარიების თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელებას და მათი ლიკვიდაციისათვის საწარმოთა მზადყოფნას;

კონტროლს უწევს იმას, თუ რამდენად შეესაბამება წესებს, ნორმებსა და სტანდარტებს (გამოყენების დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნაწილში) საბურღი, ნავთობსარეწი და გეოლოგიურ-სადაზვერვო მოწყობილობა — ტექნიკური დავალების სტადიიდან და სხვა სამთო-საშახტო მოწყობილობა და აფეთქებადაცული ელექტროტექნიკური ნაკეთობანი, რომლებსაც უსაფრთხოების გადიდებულ მოთხოვნებს უყენებენ, — მისაღები გამოცდების სტადიიდან, აგრეთვე გასცემს ნებართვას საკსახსამთოტექზედამხედველობის მიერ დამტკიცებული ნუსხის თანახმად აღნიშნული მოწყობილობის სერიული გამოშვებისა და გამოყენებისათვის;

გასცემს ნებართვებს:

საქსახსამთოტექზედამხედველობაში რეგისტრირებული ამწე ნაგებობების, წნევით მომუშავე ორთქლისა და წყალსათბობი ქვაბების, ჭურჭლის, ორთქლისა და ცხელი წყლის მილსადენების დამზადებისა და მონტაჟის უფლების მოსაპოვებლად;

ატომური ენერგეტიკის მოწყობილობის დამზადების, მონტაჟისა და რემონტის უფლების მოსაპოვებლად;

ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოების უფლების მოსაპოვებლად;

სასარგებლო წიაღისეულის (საყოველთაოდ გავრცელებულის გარდა) განლაგების ფართობების განაშენიანებისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში;

არასპეციალიზებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ იმ სამუშაოთა წარმოების უფლების მოსაპოვებლად, რაც დაკავშირებულია მიწისქვეშა გაზსადენებისა და მათზე გაზის ნაგებობების, გაზმომარაგებისა და გაზმოხმარების ობიექტების მშენებლობასთან;

აძლევს საწარმოებს (ორგანიზაციებს) მოწმობებს ფეთქებადი მასალების შეძენის უფლების მოსაპოვებლად;

აკონტროლებს საკსახსამთოტექზედამხედველობის მიერ დადგენილი შახტების, მაღაროების, კარიერების და სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი სხვა საწარმოების ან ცალკეული სამთო გვირაბების, ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების კონსერვაციისა და ლიკვიდაციის წესს;

ორგანიზაციას უწევს საქსახსამთოტექზედამხედველობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას (სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგების კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე და სხვ.);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნავს წარმომადგენლებს მაგისტრალური ნავთობპროდუქტსადენებისა და გაზსადენების, აგრეთვე საქვეკონტროლო საწარმოებისა და ობიექტების საექსპლუატაციოდ მიმღები სახელმწიფო კომისიების შემადგენლობაში მონაწილეობისათვის; მონაწილეობს სახელმწიფო მიმღები კომისიების მიერ საწარმოებისა და ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესების დაცვისადმი შერჩევითი კონტროლის განხორციელებაში;

აკონტროლებს გასამხედროებული სამთო-სამაშველო ნაწილების, შადრევანსაწინააღმდეგო და გაზსამაშველო სამსახურების ქვედანაყოფთა მდგომარეობასა და მზადყოფნას საწარმოებსა და ორგანიზაციებში ავარიების ლიკვიდაციისათვის, ამ ნაწილებისა და ქვედანაყოფების მიერ პროფილაქტიკური მუშაობის განხორციელებას; განიხილავს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღნიშნული ნაწილებისა და ქვედანაყოფების დისლოკაციის სქემებს, რომელთაც შესათანხმებლად წარუდგენენ სამინისტროები და უწყებები;

წყვეტს სამინისტროთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის წამოჭრილ დავას განაშენიანებულ ფართობებზე, აგრეთვე სახალხო-სამეურნეო ობიექტების დაცვის ზონებში სასარგებლო წიაღისეულის (საყოველთაოდ გავრცელებულის გარდა) მარაგის ამოღების საკითხებზე და იღებს მოდავე მხარეთათვის სავალდებულო გადაწყვეტილებებს;

განიხილავს სასხსამთოტექზედამხედველობის დავალებით სამინისტროთა და უწყებათა მიერ დასამტკიცებლად ან შესათანხმებლად წარდგენილ ნორმატიული დოკუმენტების პროექტებს;

აკონტროლებს, თუ როგორ ასრულებენ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, საქვეკონტროლო საწარმოები და ორგანიზაციები აფეთქების საქმის საუწყებათაშორისო საბჭოს გადაწყვეტილებებს სახალხო მეურნეობაში ფეთქებადი მასალების სწორი და უსაფრთხო გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საკითხებზე.

7. საქსამთოტექზედამხედველობას მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად და მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად უფლება ეძლევა:

შეამოწმოს ნებისმიერ დროს ყველა საქვეკონტროლო საწარმო, ორგანიზაცია და ობიექტი კომიტეტის კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე;

მიიწვიოს რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით მათი სპეციალისტები შემოწმების ჩასატარებლად;

შეიტანოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში წინადადებანი და მისცეს საწარმოთა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სამმართველოთა და განყოფილებათა ხელმძღვანელებს, რომელთაც აქვთ საქსახსამთოტექზედამხედველობის საქვეკონტროლო ობიექტები, შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი შემოწმების დროს გამოვლენილ სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების, ფეთქებადი მასალების შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვის, მოწყობილობის დადგმის, წიაღის გამოყენებისა და დაცვის წეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და ნორმების დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ, აგრეთვე ასეთ დარღვევათა გამომწვევი მიზეზებისა და პირობების აღკვეთის შესახებ;

მისცეს სახელმწიფოს საქვეკონტროლო საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ობიექტების თანამდებობის პირებს შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოებისა და წიაღის დაცვის წესებისა და ნორმების დარღვევით მიმდინარე სამუშაოთა შეჩერების შესახებ, აგრეთვე სამუშაო ადგილებიდან ადამიანთა გაყვანის შესახებ, როცა საფრთხე ემუქრება ადამიანთა სიცოცხლეს ან მოსალოდნელია ავარიის წარმოქმნა, და საჭიროების შემთხვევაში უშუალოდ შეაჩეროს სამუშაოები და გამოიყვანოს ადამიანები, დალუქოს სამუშაო ადგილები ან მოწყობილობა;

ჩამოართვას აფეთქების სამუშაოთა წარმოების უფლების ნებართვა, თუ ვერ უზრუნველყოფენ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ფეთქებადი მასალების შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვის დადგენილი წესის დაცვას.

დააჯარიმოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობის პირები სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების და წიაღის კანონმდებლობის დარღვევისათვის;

შეამოწმოს საქვეკონტროლო საწარმოებში, ცალკეულ წარმოებებში, ობიექტებში, ორგანიზაციებსა და სასწავლო-საკურსო კომბინატებში მუშების სამუშაოდ დაშვების, მათი ინსტრუქტაჟისა და მუშაობის უსაფრთხო მეთოდების სწავლების დადგენილი წესის, აგრეთვე ამ დარგში მათი ატესტაციისა და ცოდნის შემოწმების წესის დაცვა, ჩაატაროს დადგენილი წესით შესაბამის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მიერ წესების, ნორმებისა და ტექნიკური რეგლამენტების და მუშათა მიერ შრომის დაცვის ინსტრუქციების ცოდნის შერჩევითი შემოწმება, მონაწილეობა მიიღოს საწარმოების, ორგანიზაციების, ობიექტების ახალ დანიშნულ ხელმძღვანელთა და დადგენილ ვადებში — დანარჩენ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მიერ სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესებისა და ნორმების ცოდნის შემოწმებაში;

მიიღოს გამოცდები და მისცეს შესაბამისი მოწმობები აფეთქების სამუშაოთა შესრულებისათვის მომზადებულ პირებს;

გაუგზავნოს წარდგინებანი რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს იმის შესახებ, რომ გაათავისუფლონ დადგენილი წესით დაკავებული თანამდებობიდან ან ჩამოართვან ერთ წლამდე ვადით სამუშაოთა ტექნიკური ხელმძღვანელობის უფლება პირებს, რომლებიც:

სისტემატურად არღვევენ სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების, წიაღის გამოყენებისა და დაცვის წესებსა და ნორმებს;

თვითნებურად ანახლებენ სახსამთოტექზედამხედველობის ორგანოების მითითებით შეჩერებულ სამუშაოებს და უშვებენ შეჩერებული მოწყობილობისა და ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემას;

არღვევენ ფეთქებადი მასალების აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების დადგენილ წესს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება არა აქვთ უხელმძღვანელონ საბურღ, სამარკშაიდერო, აფეთქების, გაზსაშიშ და ელექტროტექნიკურ სამუშაოებს, აგრეთვე ქვაბზედამხედველობის ობიექტებსა და ამწე ნაგებობებზე შესასრულებელ სამუშაოებს;

არ გაუვლიათ სწავლა და არ ჩაუბარებიათ დადგენილი წესით გამოცდები უსაფრთხოების ტექნიკაში;

გადასცეს შესაბამის შემთხვევებში მასალები საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად;

მოისმინოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებანი, ანგარიშები და ინფორმაციები საქსახსამთოტექზედამხედველობის კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე;

ჩაატაროს დადგენილი წესით საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ავარიების გარემოებათა და მიზეზების, საწარმოო ტრავმატიზმის, ფეთქებადი მასალების დატაცების, დაკარგვისა და გაფანტვის შემთხვევების ტექნიკური გამოძიება და მიიღოს გამოძიების შედეგების მიხედვით შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებანი საქსახსამთოტექზედამსედველობის კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე;

შეიტანოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში წინადადებანი საქსახსამთოტექზედამხედველობის კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განხორციელების შესახებ;

დანიშნოს საჭიროების შემთხვევაში რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მოწყობილობისა და მასალების საკონტროლო გამოცდის, სამუშაო და ბუნებრივი გარემოს საკონტროლო ანალიზის, აგრეთვე მოქმედი წესების ფარგლებში მოწყობილობის ტექნიკური შემოწმების ჩატარება;

მისცეს მოწყობილობის დამმუშავებელ, დამამზადებელ და დამმონტაჟებელ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მითითებანი იმის შესახებ, რომ აღმოფხვრან კონსტრუქციული ნაკლოვანებანი, აგრეთვე მოწყობილობის დამზადებასა და დამონტაჟებაში დაშვებული ნაკლოვანებანი, რომლებიც ამცირებენ მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოებას, და კონტროლი გაუწიოს აღნიშნულ მითითებათა შესრულებას;

შეამოწმოს საჭიროების შემთხვევაში დამამზადებელ ქარხნებსა და სარემონტო საწარმოებში, შეესაბამება თუ არა სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესებისა და ნორმების მოთხოვნებს სამთომომპოვებელი მრეწველობის დარგების მოწყობილობა, აფეთქებადაცული მაღაროს ელექტრომოწყობილობა, დასამზადებელი და სარემონტო ამწევი ნაგებობანი, ორთქლისა და ცხელი წყლის ქვაბები და მილსადენები, ატომური ენერგეტიკის მოწყობილობა, წნევით მუშაობისათვის გათვალისწინებული ჭურჭელი;

შეაჩეროს აღნიშნული მოწყობილობის გამოშვება და აკრძალოს მისი გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ იგი არ შეესაბამება ტექნიკური უსაფრთხოების

წესებისა და ნორმების მოთხოვნებს და დამტკიცებულ საპროექტო გადაწყვეტილებებს;

მიიზიდოს საქართველოს სსრ სამინისტროებიდან, მეცნიერებათა აკადემიის უწყებებიდან, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან (მათთან შეთანხმებით) სპეციალისტები ექსპერტებად ერთ თვემდე ვადით იმ ვარაუდით, რომ მათ მივლინება აუნაზღაურდეთ საქსახსამთოტექზედამხედველობის ხარჯზე და შეუნარჩუნდეთ ხელფასი სამუშაო ადგილზე;

მიიღოს საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან ცნობები უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის, საწარმოო ტრავმატიზმის მიზეზების, წიაღის გამოყენებისა და დაცვის, ფეთქებადი მასალების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისა და დაკარგვის შემთხვევების შესახებ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დაწესებული საანგარიშგებო ფორმების მიხედვით, ხოლო გამოკვლევის პერიოდში ორგანიზაციების, ობიექტების ხელმძღვანელთაგან და სხვა თანამდებობის პირთაგან ახსნა-განმარტებანი საქსახსამთოტექზედამხედველობის კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე და გასაცნობად აუცილებელი ცნობები და ანგარიშები არსებული ანგარიშგების ფორმების მიხედვით, სამთო და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა გეგმები, სამთო და აფეთქების სამუშაოთა, ჭაბურღილების, ამწე ნაგებობების, ატომური ენერგეტიკის, ქვაბზედამხედველობისა და გაზზედამხედველობის ობიექტების და ქიმიურ, ნავთობქიმიურ, მეტალურგიულ, ნავთობგადამამუშავებელ წარმოებებში ტექნოლოგიურ პროცესთა ტექნიკური დოკუმენტაცია;

შეამოწმოს, აქვთ თუ არა საწარმოების, ორგანიზაციებისა და ობიექტების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც იძლევიან უფლებას უხელმძღვანელონ სამთო, საბურღ, აფეთქების, სამარკშაიდერო, ელექტროტექნიკურ და გაზსაშიშ სამუშაოებს, აგრეთვე აქვთ თუ არა მუშაკებს შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ გადიდებული საფრთხის აფეთქების, გაზსაშიშ და სხვა სამუშაოთა წარმოების უფლებას, გააკონტროლოს ფეთქებადი მასალების შენახვასთან, გამოყენებასთან და აღრიცხვასთან დაკავშირებულ სამუშაოზე მისაღებად დაწესებული სპეციალური მოთხოვნების დაცვა;

შეამოწმოს, იცავენ თუ არა საქვეკონტროლო საწარმოები ნავთობის გაზისა და სხვა ნივთიერებებისა და მასალების (მათი მიწისქვეშა შენახვისას), წიაღში ჩაშვებული ჩამდინარი წყლების, წიაღში ჩამარხული მავნე ნივთიერებებისა და წარმოების ნარჩენების სამთო გვირაბებში, მიწის ზედაპირზე და წყლის ობიექტებში შეღწევის თავიდან აცილების მოთხოვნებს;

შეწყვიტოს წიაღის თვითნებურად გამოყენება და სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობების თვითნებურად განაშენიანება, აგრეთვე შეზღუდოს, შეაჩეროს ან აკრძალოს ჩამდინარი წყლების ჩაშვება წიაღში, მავნე ნივთიერებებისა და წარმოების ნარჩენების ჩამარხვა, ნივთიერებებისა და მასალების მიწისქვეშა შენახვა წიაღის კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევებში.

გვ. 44
ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებები საქსახსამთოტექზედამხედველობის თანამდებობის პირებს (ინსპექტორთა შემადგენლობის ჩათვლით) ენიჭებათ საქსახსამთოტექზედამხედველობის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული მოცულობით, რესპუბლიკის ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

8. საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს. საქსახსამთოტექზედამხედველობის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომელთაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქსახსამთოტექზედამხედველობის თავმჯდომარე პერსონალურად პასუხისმგებელია საქსახსამთოტექზედამხედველობისათვის დაკისრებული ამოცანების და მოვალეობების შესრულებისათვის, აწესებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთა, ცენტრალური აპარატის განყოფილებების უფროსთა და კომიტეტის სხვა ქვეგანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას კომიტეტის საქმიანობის ცალკეული უბნებისადმი ხელმძღვანელობისა და მისი ქვედანაყოფების მუშაობისათვის.

საქსახსამთოტექზედამხედველობის თავმჯდომარე თავის მოვალეობათა შესრულებისას სარგებლობს საქართველოს სსრ მინისტრების უფლებებით.

9. საქსახსამთოტექზედამხედველობაში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: საქსახსამთოტექზედამხედველობის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე), თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე საქსახსამთოტექზედამხედველობის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

კომიტეტის კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქსახსამთოტექზედამხედველობის კოლეგია თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების, წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის სრულყოფის საკითხებს და კომიტეტის საქმიანობის სხვა ძირითად საკითხებს, საქვეუწყებო ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, გადაწყვეტილებათა და შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, ზემდგომ ორგანოებში შესატანი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების, აგრეთვე კომიტეტის დადგენილებების, ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, ისმენს საქსახსამთოტექზედამხედველობის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ანგარიშებს: ისმენს მისი კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლებთან, საქვეკონტროლო საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციების და მოწყობილობის დამამზადებელი ქარხნების ხელმძღვანელთა მოხსენებებსა და ინფორმაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საქსახსამთოტექზედამხედველობა გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად საქსახსამთოტექზედამხედველობის ქვედანაყოფებისათვის.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქსახსამთოტექზედამხედველობა გამოსცემს დადგენილებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის.

საჭირო შემთხვევებში საქსახსამთოტექზედამხედველობა გამოსცემს დადგენილებებს სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ან მათთან შეთანხმებით.

11 საქსახსამთოტექზედამხედველობა ახორციელებს დადგენილი წესით კავშირურთიერთობას (საკსახსამთოტექზედამხედველობის მეშვეობით) ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების სახელმწიფო ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის ორგანოებთან, მივლინებით გზავნის საზღვარგარეთ სპეციალისტებს კომიტეტის კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე სამეცნიერო-ტექნიკური გამოცდილებისა და მუშაობის პრაქტიკის შესასწავლად.

12. საქსამთოტექზედამხედველობაში იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო (სამუშაოთა მიმართულებების მიხედვით სექციებითურთ) შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესების, ავარიულობის თავიდან აცილების, საწარმოო ტრავმატიზმის შემცირების, წიაღის დაცვისა და კომიტეტის კომპეტენციისათვის განკუთვნილი სხვა საკითხების განსახილველად

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს პერსონალურ შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს საქსახსამთოტექზედამხედველობის თავმჯდომარე

13. საქსახსამთოტექზედამხედველობა ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს დადგენილი წესით კომიტეტის საქვეუწყებო სტრუქტურულ ქვედანაყოფებს მისთვის დამტკიცებული მუშაკთა რიცხოვნობისა და საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში და ამტკიცებს მათ დებულებებს.

საქსახსამთოტექზედამხედველობა ახორციელებს მუშაობას სახელმწიფო ზედამხედველობის სხვა ორგანოებთან, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან და პროფკავშირთა შრომის ტექნიკურ ინსპექციებთან მჭიდრო კონტაქტით.

საქსახსამთოტექზედამხედველობა ქმნის შტატგარეშე ინსპექტორთა ქსელს, რომლებიც მუშაობენ კომიტეტის მიერ მათთვის დამტკიცებული დებულების მიხედვით.

14. საქსახსამთოტექზედამხედველობას და მის ორგანოებს აქვთ ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

15. საქსახსამთოტექზედამხედველობის ორგანოთა საქვეკონტროლო საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები იმ შემთხვევებში, როცა სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობა ხორციელდება სხვადასხვა საწარმოსა და ორგანიზაციის ობიექტებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვალენი არიან უზრუნველყონ საქსახსამთოტექზედამხედველობის სისტემის ორგანოთა თანამდებობის პირნი სამსახურებრივი სადგომებით, სატელეფონო კავშირით, მოამარაგონ ისინი საჭირო სპეცტანსაცმლითა და დამცავი საშუალებებით, საწარმოების, ორგანიზაციებისა და ობიექტების გამოკვლევის პერიოდში, სამსახურებრივი და სპეციალური ავტოტრანსპორტის სადგომებით, საქსახსამთოტექზედამხედველობის მუშაკები საცხოვრებელი ფართობით, კომუნალური მომსახურებითა და სატელეფონო კავშირით, უზრუნველყონ სათბობით, აგრეთვე გამოყონ ტრანსპორტი ინსპექტორთა გადასაყვანად, ტექნიკური დამოწმებისა და ავარიული შემთხვევების გამოკვლევისას.

---

## 45 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 25 მარტის № 230 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 დეკემბრის № 653 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 21 აგვისტოს № 641 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 25 მარტის № 230 დადგენილების შესაბამისად, რომელიც მიღებულია სსრ კავშირის კანონთა წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით, და ტყის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს „სატყეო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის ზომებისა და წესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 დეკემბრის № 653 დადგენილებაში ცვლილებანი და დამატებანი, ამასთან ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1-ლი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები:

„ბ) სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებში და ტყით დაუფარავ მიწებზე თვითნებურად თიბვისა და პირუტყვის ძოვებისათვის, № 2 დანართის თანახმად;

გ) გარეული ხილის, კაკლის, სოკოს, კენკრისა და სხვა ხილის თვითნებურად კრეფისათვის იმ ნაკვეთებზე, სადაც ეს აკრძალულია ან დაშვებულია მხოლოდ სატყეო ბილეთებით, № 3 დანართის თანახმად“.

№ 2 დანართის სათაური და პირველი აბზაცი:

„ნიხრი სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებში და ტყით დაუფარავ მიწებზე თვითნებურად თიბვითა და პირუტყვის ძოვებით მიყენებული ზარალისათვის გადასახდევინებელი თანხის ოდენობის გამოსაანგარიშებლად.

პირები და ორგანიზაციები, რომლებმაც თვითნებურად მოახდინეს თიბვა და პირუტყვის ძოვება სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებში და ტყით დაუფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავ მიწებზე, თითოეულ შემთხვევაში აანაზღაურებენ ზარალს შემდეგი ოდენობით (მანეთობით)".

მე-2 დანართის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი:

„ბ) პირუტყვის საძოვრად გაუთვალისწინებელ ფართობებზე მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში აღნიშნული ნიხრის ოდენობა გადიდდება ორმაგად".

№ 3 დანართი:

## ნიხრი

**იმ ნაკვეთებზე გარეული ხილის, კაკლის, სოკოს, კენკრისა და სხვა ხილის თვითნებურად კრეფისათვის ანაზღაურების ოდენობის დადგენისა, სადაც ეს აკრძალულია ან დაშვებულია მხოლოდ სატყეო ბილეთებით**

| ჯიშების დასახელება | ანაზღაურების ოდენობა ყოველ კილოგრამზე (მანეთი, კაპიკი) |
|---|---|
| კაკლის წენგო (სამურაბე) . . . . . . . . . . . . . | 0-50 |
| კაკალი (მწიფე) . . . . . . . . . . . . . | 2-00 |
| პანტის, მაჟალოს, ტყემლის ნაყოფი . . . . . . . . . . . | 0-15 |
| საჭმელი წაბლი და თხილი . . . . . . . . . . . . . | 0-50 |
| ზღმარტლი, ფშატი, კვრინჩხი, ქოლო, კოწახური, ცირცელი, ბალი., შინდი, ხურმა . . . . . . . . . . . . . | 0-20 |
| მაყვალი, მოცვი, ქუნელი, წყავი, ასკილი . . . . . . . | 0-50 |
| ჯონჯოლისა და ცრუ აკაციის ყვავილები . . . . . . . . | 0-25 |
| მუხის რკო და წიფლის წიწიბო . . . . . . . . . . . | 0-15 |
| სოკო . . . . . . . . . . . . . . | 0-50 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 24 ივნისი, № 460

ინდექსი—76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3, 1982 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/VI-82 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 3 სააღრიცხვო თაბახი 3

შეკვეთა № 1105 უე 05786 ტირაჟი 1580

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა.

696/95

ეროვნული ბიბლიოთეკა